ხელშეკრულება N27

ქ.ხაშური 7 მარტი 2019 წელი

ერთი მხრივ **ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბოლოკაძის** სახით, მეორე მხრივ ფიზიკური პირი **მადონა ცაბაძე** (შემდგომში მიმწოდებელი), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
   1. ხელშეკრულების საგანია 46 ცალი ვარდის თაიგულების შესყიდვა, ხაშურის 2 საავადმყოფოს პერსონალისთვის, 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საჩუქრად გადასაცემად **CPV: 03121210**

2. ხელშეკრულების ღირებულება
   2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 345.00 (სამას ორმოცდახუთი) ლარს 276.00 ლარი ხელზე ასაღები, 20% საშემოსავლო;
   2.2 1 ცალი თაიგულის ფასი შეადგენს 7.50 (შვიდი და ორმოცდაათი) ლარს;
3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები:
   3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში
   3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა საფუძველზე, გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში
   3.3 მომწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ორგანიზაციის ღონისძიებების შესაბამისი მუხლიდან;

4 მიღება-ჩაბარების წესი
   4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე.
   4.3 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.მომსახურების ვადა და მიწოდების ადგილი
   5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ხაშური
   5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 8 მარტს;
6. მხარეთა უფლება-მოვალეობები:
   6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება
   6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.
   6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებიტ გათვალისწინებულ ვადებში.
   6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
   7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.02%ის ოდენობით

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ვადაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 აპრილამდე;

შემსყიდველი ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება	მიმწოდებელი ფიზიკური პირი მადონა ცაბაძე
ხაშური, რუსთაველის მე-2 ე შესახვევი	ხაშური, წმინდა ნინოს 74-ა
საიდენტიფიკაციო კოდი 243918070	საიდენტიფიკაციო კოდი 57001052495
ბანკის კოდიTRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022	ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE84TB7293745065100001
United Centers of Cultural and Children and Adults Creative Development Digitally signed by United Centers of Cultural and Children and Adults Creative Development Date: 2019.03.11 12:18:19 -07'00' _____ გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე	_____ ფიზიკური პირი მადონა ცაბაძე